

529.
976



1976 ՄԻՍՄԱՅՈՒՆ ՈՒՈ
ՀԱՅԿ

წითელ ლაშქარს

(მწერლის არქივიდან)

მზემ სხივებით ნისლი დასჭრა,—
ღამეს გული გაუგმირეს,
კზა მყეცით წითელ ლაშქარს,—
კომუნისტუის მებრძოლ გმირებს.

ერთი-ორი! ერთი-ორი!
ჭქუსს მუსიკა —ბრძოლის მარში,
ძღვევის სძაა, მხნე და სწორი,
მეთაურის მტკიცე სძაძი.

ერთი-ორი! სწორედ იარ!
ჯარი ღელავს ტალღის ფერად,
არემარე გადარია
ბრძოლის სმებმა და სიმღერამ.



მეგობრებო! თქვენს ძმა ზოეტს
ჭსურს ბქ ვეველა გადაგოცნოს,
თქვენ ამ გულში ბინა ჭზოვეთ,
თქვენ ამ გულში ანთებთ კოცონს.


მზემ სხივებით ნისლი დასჭრა,—
ღამეს გული გაუგმირეს,
გამარჯვება წითელ ლაშქარს,
კომუნისტუის მებრძოლ გმირებს.

მიდის ჯარი, ჯანით სავსე,
მიდის, ღელავს ტალღისფერად,
რისსვა იძას, რისსვა თავსე,
ვინც ვერ ითმენს მათ სიმღერას!

გაზა დრო და გლოვის მარშით
გავისტუმრებთ ბებერ ხანას
და ოქტომბრის ცეცხლის რაძი
მემოირბენს მთელ ქვეყანას.

მეგობრებო, მხარზე თოფით,
წინ გაუწითო ერთად, ერთად,
გავამართლოთ ფიცი ნდობის,
რაც ღენინმა გვიანდერძა!

მზემ სხივებით ნისლი დასჭრა,
ღამეს გული გაუგმირეს,
გაუმარჯოს წითელ ლაშქარს,—
კომუნისტუის მებრძოლ გმირებს!





BOAS

უაიოლოგოს დღა

არევაზ ინანიშვილი

მთელ დღეს წვიმდა, საღამოს ქარი ამოვარდა, დავლიჯა ყვითელი ფოთლები და ზოგი საით წაიღო, ზოგი საით. დილით ქარი ჩადგა, ბრტყელია მზემ გამოანათა. ტკბილი ზმორებით ხვდებოდნენ მის სხივებს ხეები, მყურაროში დგებოდა საქონელი, გამოვიდნენ და მზეს მიეფიცნენ მოხუცებიც. სულ მალე ზაფხულივით დაბა.

ჩაიცივი ჩექმები, დავიხურე ჯარისკაცური ბანამა, დავიჭირე ჯოხი და დასასვენებლად წავვიღე. როცა ჩემს სოფელში ვარ, ასე ვისვენებ,—ჩაიცივამ ჩექმებს, დავიჭერ ჯოხს და ივრის ვიწროებს ჯვარბატიონსისაყენ ავღვე-

ამ ხეობაში ზამთარიც ძალიან ლამაზი იცის, გაზაფხულიც, ზაფხულიც, მაგრამ ყველაზე მეტად მე მაინც გვიანი შემოდგომა მომწონს. შეიძლება საათობით ვიჯდე ხოლმე და ვუყურო, როგორ მიედინება თითქმის მწვანე მდინარე, როგორ ტრიალებენ ჩამოცვივებული ფოთლები სატრიალოებში, როგორ ლივლივებენ წნორის წითელი ფესვები

ჩამძვლეულებში. ძალიან მამშვიდებს ფიქრი, რომ ეს წყალიც, ეს ფოთლებიც და ეს ფესვებიც ასე იყო ათასობით წლის წინათ და ასევე იქნება ათასობით წლის შემდეგაც.

ო, რა საოცრებაა ყვითლად აბრიალებული ხეები! მაგრამ მე ისინი მაშინაც მიყვარს, ფოთლები რომ დასცვივათ და უკვე კვირტებად აბერილი წვრილი ტოტებით მკვეთრად დაიხატებიან ცაზე. არ დამიჯერებთ და, მე ეკლებიც კი მიყვარს,—ყოველთვის ღიმის მგერის მათი მოყვანილობა. ისინი სწორედ ისე არიან მოღუნულნი, რაც შეიძლება მარჯვედ გამოგედონ. იქნებ რა უნდათ, რატომ გებლაუჭებიან, რა აქვთ სათქმელი? ვდგავარ და ვუყურებ ხოლმე შიგაბმული, მაგრამ ეკლები არასოდეს არაფერს ამბობენ.

მივდიოდი, მივიბჯნდი ჯოხს და სიამოვნებით ვიხედებოდი აქეთ-იქით. ნაქარალზეც აქ იყო, ზეზე იყო ყველა ხე,—მხოლოდ ფოთლები შესთხვლებოდათ, ზოგს კი მთლიანადაც გასცვივნოდა. აქ იყვნენ შაშვები, ჯაბარები, ლორები, ქელს შეფენილი ძროხები. აქ იყვნენ თევზებიც: კბოღესთან ჩამუხლული, განაბული ჩაეჭკვროდი ჭეშის დიდ

გ. შ. ქოსი ს. ხ. ნ. ყ. აბრ.
ს. ხ. ნ. ყ. აბრ.
დ. ლ. ი. თ. ე. ბ.



ტბორს. ტბორის ნაპირებში მაღალი წყალმცენარეები იდგა, თევზები იმ წყალმცენარეებში იმალებოდნენ, გამოვიდოდნენ, დაჯგუფდებოდნენ და ხან ზემოთ ადიოდნენ, ხან ქვემოთ დაუყვებოდნენ, წამდაუწუმ შემომარბევიდნენ სარკისებრ ფერდებს.

ამოვიღე გაზეთში გახვეული პური, მოვატეხე, დავშხვენი და გადავუყარე. თევზები ჯერ დაფეთდნენ, გაიფანტნენ, მერე გამოვიდნენ და ხტუნვა დაიწყეს, იტაცებდნენ პურის ნამსცეცებს, მიიჩქაროდნენ განმარტობული ადგილებისკენ, სხვები ეწეოდნენ, ნამსცეცებს პირიდან სტაცებდნენ, ძიძგილაობდნენ. მე კიდევ და კიდევ ვუყარი ტბორის ნაფშხვენებს. მერე, პური რომ გამითავდა, წაველი. შვევი გაბმულ ქალაში, ქალიდან—ტყეში. აჰ, ყვითელ ფოთლებზე წამოწოლილი, დიდხანს ვუგდებდი ყურს კოდალას კაკუნს და ჯაფარების გადაძახილს. თვალს ვადევნებდი რაღაცით შეწუხებულ მოშავო თავს, რომელსაც თითქოს მუხის ფულდუროში უნდოდა ჩასვლა და ვერ ჩადიოდა. დავკრიფე ზღმარტლი, წიფელს ავაგლიჯე დიდი აბედა სოკო, ყვითელ ფოთლებში ვიპოვე

რამდენიმე თხილიც. მზე მთაზე აშორდა ჩვენი კენწეროებს შეგხო, გამოვბრუნდი, გამოვედი წყლის პირას, ერთხელაც გაეხედე რიყეს და გაეშრი, გაეშეშდი.

ოცი-ოცდახუთი ნაბიჯის იქით, მწვანე-გალიკლიცებულ მორევში რქიანი შველი იდგა. წყალი მუცლამდე სწვდებოდა, პირი დაეღო და ღრმად სუნთქავდა. დაიძრა, ზემოთ-ზემოთ წავიდა, უფრო ღრმაში გაჩერდა. მიმოიხედა. იდგა, წყალს უძალიანდებოდა, ისევ პირდაღებული სუნთქავდა. მე თვალსაც კი აღარ ვახამხამებდი, მაგრამ უცებ რალაც იგრძნო, არც მოუხედავს, წყლიდან გამოვარდა და ტყეში შეიკარგა.

ჩაეუჩოქე და მიწას ვუთხარი მადლობა ამ მშვენიერი სანახაობისათვის...

სოფლის მისასვლელთან ტყის მცველები შემხედნენ.—გოგია და ალექსა. ვუამბე, შველი როგორ ვნახე.

— საწყალი,—თქვა ალექსამ,—მეცა ვხედავ ხოლმე,—მუცელშია დაქრილი და ეგრე ღებება წყალში, როცა ტკივილი ძალიან აწუხებს.

ნათელ, ლამაზ ღღეს უცებ გადაეფარა თალხი.



უბეს ივსეაენ ბიჭები

კ. გოგიაშვილი

შობაქუთ და შობაქუთ უურძენი,
მიდამო ქარვისფერი,
სოფელში მატარის სუნი დგან,
გოგო-ბიჭებიც მღვრიან.

ქრიაშულია ეზოში,
ეს რა მოცვივა ზეციდან,
უბეს იუსებუნ ბიჭები—
გართულნი კაკლის ბერტყვითა!

სიმიდს შეხსმა უღვაში,
უკითლდებუ შიშით, სიცივით
და ბროწეული ზირღია
სულმოუთქმელად იცინის!

შამორგომა

მზია ჩხატინი

დადიღინებს შემოდგომა
ქარვისფერი ხალათითა,
დააქეს სიტკობა და სიუსვე
გოდრითა და კაღბითა,
ავვაჯსო და გაკვანარბ
სვავითა და ბარბაქითა.



ცადო, მოუსვი ბადასა

ბურამ ბახტაძე

ნახატი ვალხაზ კუსხვილიძისა

წაფხულის ცხელ დილას გაია, ამირანი, კახა, დათო, ზაზა და სხვა ოქტომბრელები ხანისწყალზე საბანაოდ მიდიოდნენ, ხიდას რომ მიუახლოვდნენ, თუთის ხეზე გაქრული ქალაქის ფურცელი დაინახეს, დაინტერესდნენ და ახლოს მივიდნენ. ფურცელზე დიდი ასოებით ეწერა:

„ოქტომბრელებო, ვინც თავს ვაქცავდა თვლის, დღეს საღამოს, მზის ჩასვლისას ამ ხესთან მოვიდეს!“

- ბიჭებმა ერთმანეთს გაოცებით გადახედეს.
- რა არის?
- ვინ დაწერა?
- რა უნდა გავაკეთოთ?

მაგრამ, რაკი თვითონ არაფერი იცოდნენ, მამიას სახლისაკენ გასწიეს. მამია მამისახლისი ხომ პიონერების წინამძღოლი, რაჭმულის საბჭოს თავმჯდომარეა, მას უველაფერი ეცოდინებოა.

მამია შინ არ დაუხვდათ, ისეთი ფურცლები კი სოფლის სხვა კუთხეებშიც ნახეს ზეებსა და ლობებზე გაქრული.

მზის ჩასვლისას ხესთან მთელი სოფლის პატარებმა მოიყარეს თავი. მალე მამიაც მოვიდა და ოქტომბრელებს შეეკითხა:

- ვის სურს მეთავე ხუთწლედის დიდ საქმეში

მიიღოს მონაწილეობა?

ერთბაშად ხელების ტყე აღიმართა, უველანი ახმარდნენ:

- გვინდა!..

მეორე დღით ნამგლებითა და ცელებით შეიარაღებული ოქტომბრელები შარავაზე გამოჩნდნენ. პიონერებმა ასწავლეს, თუ როგორ მოეთიბათ ბალახი ბოსტნების, ყანების, ვენახებისა და გზების პირას. შუადღისათვის ერთად რომ დააგროვეს, ათი დიდი ზვინი გამოვიდა.

- რა კარგია!—გაეხარდათ გოგონებს.

— ეს ფერმის საქონელს ერთ დღესაც არ ეყოფა, ჯერ სადა ხართ, კიდევ უნდა მოვთიბოთ,—თქვეს ბიჭებმა.

მართლაც, მთელი წაფხული და შემოდგომა, ყოველ დღით ნამგლებითა და ცელებით დადიოდნენ; თიბდნენ ბალახს, აგროვებდნენ და ახმობდნენ, თან მხიარულად დასძახოდნენ:—ცელო, მოუსვი ბალახსაო!

— ხედავთ, რა ყოჩაღი ოქტომბრელები გყავს; ზამთრისათვის რომ საქონელს საკმარისი საკვები აქვს, ამაში პიონერებთან ერთად ოქტომბრელებსაც მიუძღვის წვლილი!—სიამაყით ამბობენ მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როხში.

- ბარაქალა თქვენ, როხელო ოქტომბრელებო!





პაწაწინა ბესო
გაგვიანაწყენსო,
ძმა-ბიჭებმა სათევზაოდ
არ წაიყვანესო.
ჯერ ძალიან პატარა ხარ,
ასე აუხსნესო.
მერე რა, რომ პატარა ვარ
იკრემლება ბესო,
წამიყვანეთ, მეც დავეიკერ
სულ პატარა თევზსო.

ნახატები სოფიო კინწურაშვილისა

რა უნდოდა?


ბიორგი წარათელი

რა უნდოდა
ჩუჩქინასა, ჭუჭუქინასა,
მურინასა,
ჩვენს ესიძი
რომ მოუსტა,
ჯაჭვით დაბმულ
მურინას?
სომ დაკბინა,
სომ აჭყეულა,
აი, ასე მოუსდება...
იმ ნაკბენს
რომ გაისხენებს,
მეორედ არ მოუსტება.



რკო და გუხა

ლილა პრაძე



დაუბერა ქარმა,
შეარზია ტოტი,
ჩამოვარდა რკო და
ატყდა ერთი შფოთი.

რკო ხან ბადაბს ეცა,
ხან, დაგორდა თავქმე,
შეეგუბა სუღი,
ფერ ახერხებს სათქმელს.

ბოლოს ცრემლით მუხას
დაუსვედა ფესვი:
— გეზვეწები, მუხავ,
ისევ ხეზე შემსვი!

— ჩადი მიწის გულში,
აქ რას ნაბავ თვალებს,
ჩემოდენა მუხად
გაიზრდები მაღე!

ნახატები ვალხაჟ კუხაშვილისა



ლიუსიტაჟი და ზვიგანი

ლიუსიტები—ჩერჩეტები
ანკესს როგორ ებმებიან,
როგორ უცბად ტყუფდებიან,
როგორ სწრაფად ნებდებიან.

კიაყედას წასართმევედ
მათ არავინ ეცილებს,
ჩაუქროდებთ ზვიგენი და
გულიანად ეცინება!



ჭიანჭველა და ყუბაღა

იური ნარიშკინიძე

ხაბტბე მანანა მორჩილაძისა

ჭიანჭველამ უნის ზირს მზე იპოვა. და-
ჭიდა და რის ვაივაგლასით ადგილიდან
დაძრა.

— ეგ რა გიპოვაო?— ჰკითხა ურბე-
ლამ.

— შენ რაც დღეიდან დაგაკლდება,
ისაო!— მოკლედ მოუჭრა სისხარულით გა-
მაუებულმა ჭიანჭველამ და დიდინ-დიდინით
განაგძმო გზა, — მზე დღეიდან ჩემია, მარ-
ტო ჩემიაო!

ეურბელას მწუსარებისგან კინაღამ გუ-
ლი შეუღონდა. ჭიანჭველამ მზე ბუდესთან

კი მიჩინა, მგერამ შიგ ვერაფრით შეიტანა
და წუწუნს მოჭედა:

— რაღა მეშველება, მზე ვიპოვე და შიგ
ვეღარ შემეჭვსო!

იქვე, ბაღასზე შემომსდარ ქინქვებს სი-
ცილი აუვარდათ:

— შე სულელო, ეგ მზე კი არა, უბრა-
ლო ბრჭყუიალა მძივია, როგორ არ იციაო...

— მძივია?!— და, ატირდა ჭიანჭველა...

— კიდევ კარგი, მძივია, თორემ მართ-
ლა მზე რომ ეპოვა, სიცვიით დაწვედებო-
დითო!— აცეკვდა ეურბელა.



ზოოპარკში


ვასილ გვიტაძე

ერთხელ კიდევ რომ ნახოს
საოკრება ნამდვილი,
ზოოპარკში ზურიკო
გამოცხადდა ამ დღით.
ზურა ხელში ჭიშკართან
აიყვანა ბებიამ.
სპილოებს რომ შეხედა,
სულ არ შეშინებია.
მოგროვილან ნორჩები
სპილოების გარშემო:
— სპილოებო, სალაში!
— გაგიმარჯოთ, ბავშვებო!
წამოვიდა ზოზინით
სპილო—კოხტარ მორთული,
ხელიც გამოგვიწოდა...
ხელი არა... ხორთუმი!
რქებით იცნეს ირემი,
ხალიანი ქორბუდა.
დაინახა ზურიკო,
ზურიკოსკენ მობრუნდა.
არ დააფრთხეს ცელქებმა,
მისკენ გამოატარეს...
მადლიერი თვალებით
გამოხედა ბატარებს.



იქვე ახლო 'შველია
და შვლის ნუკრი მშიშარა.
უცებ ერთმა ფრინველმა
ფრთები გაღმონიშალა.
ფრთები, მაგრამ რა ფრთები,
აღბათ, ვინმემ დახატა,
ამნარი ფრთებს ზურიკო
სხვაგან ვერსად ნახავდა.
მერე ბოლო ლამაზი
მთელ ეზოზე მოჰფინა.
ბებომ უთხრა:— შეხედე
ფარშევანგი ყოფილა!
დათუნია შეიღებთან
თამაშშია გართული.
— რას აკეთებ, დათუნა,
თეთრო დათვო, დათუნი?
ბელებს მართლა მოაღრჩობ
ემაგ თათის თათუნით.
ქამაც დათვის გკონდია,
მოფერებაც დათურო!
— ეს ციყვია,— ბებია
ამბობს დაბეჯითებით...
წყლიდან ათასნაირი
წამოფრინდნენ ჩიტები.
დგას ლობესთან ყირაფი,
ტანჭურელი და მალალი.





აგერ თეთრი არწივი,
 ყვაფი—თავის ბახალით.
 გამოობრძანდნენ ჯიხვები,
 წყაროს წყალი დალიეს.
 აფთრები და ვეფხვები
 ბრაზით ღრღნიან ვალიებს.
 ერთი აქეთ მოდგქი,
 უსმინე და უყურე:
 ლომი მაინც ლომია,
 ღრიალებს და ბუხუნებს.
 ტურა მაინც ტურაა,
 ქათმის ბარკლის მკენეტავი.
 — რა გაკვილებს, ტურიკო,
 ვის უყურებ, ნეტავი!
 დღემდე ვინმეს უნახავს,
 ვინმეს გაუგონია?
 თურმე მელას ქათმებთან
 მეზობლობა ჰქონია.
 აუზშია ნიანგი,
 ნაპირს ფხიზლად დარაჯობს.
 სელაპების დანახვას
 არაფერი არა სჯობს.
 ვინც შეხედა, ვერაფერ
 თვალი ვერ აარიდა:
 თავით ბურთი გამოაქვს
 სელაპს—ღია კარიდან.

ამ გასლიბულ ბეჭეჭეჭულს
 არც წყურია, არც მკაცრია
 ყურსაც არ აბანტურებს,
 დღედაღამე წყალშია.
 მაიმუნებს რგოლებზე
 მოსწყენიათ თამაში
 და შეჯიბრი გამართეს
 მზესუმზირას ჰამაში.
 ბატებისთვის დაუდგამთ
 სახლი—უსახურაო...
 — ჰეი, ეს ვინ მოსულა?
 — ჩვენი ზურა, ზურაო!
 თუთიყუშს კი უცვლელი
 სიტყვა ადგას ენაზე:
 — ბიჭი ვარო!—იძახის
 ბიჭის გამოჩენაზე.
 — გოგო ვარო!—შესძახებს
 გოგოს ნახვას თუ არა...
 — არც ბიჭი ხარ, არც გოგო
 ჩუმად, შეემატყუარა!
 დაიღალა ზურიკო,
 დაიბინდა მიღამო.
 აბუზღუნდა დათუნა:
 — წადით, ძილი გვინდაო!
 თავზე გადაიქროლა
 ჩრდილმა ქარის ფრთებისამ.
 — ზოპარკო, ნახვამდის!
 — ყველას ძილი ნებისა!



ბათო მხატვარი

აკაკი ართილაყვა

მეზობლის პატარა ბიჭი—ბათო საბავშვო ბაღში დადიოდა, დიდი მოუსვენარი და დაუღებარი ვინმე იყო. მისგან ყველა მეზობლებს თავი მობეზრებული ჰქონდა. ჩვენი სახლის წინ—ვზოში ძელიური სკამები და მაგიდა გვედგა, სწორედ იმ სკამებზე თუ მაგიდაზე განგებ ტაღახიანი ფეხებით ადიოდა, აუტუჟყიანებდა და ატაღახიანებდა. ძალიან უყვარდა მასზე უმცროსი ბავშვების დაწოვება, არც უმისამართოდ ქვის სროლას თაკილობდა, სულაც არ ნაღვლობდა, ვინმეს ფანჯარა თუ ჩაიმსხვრეოდა.

ერთხელ, გზაზე მიმავალმა ბათო დავინახე, ჯობებში ზელები ჩაეწყყო და არხეინად მიდიოდა. უცებ გზის პირას ბაღახებიდან ვეება ძალი წამომიართა და ბათოსკენ დაიძრა. დაბნეულმა ბიჭმა "შიშით მიმოიხედა, ჩემს მეტი ახლამახლა არავინ ჩანდა. მეტი რა გზა ჰქონდა, ჩემკენ გაემოქცა. მე ქვეს დაეწვიე და ძალს ვესროლე—ძალი შეჩერდა. გულგახეთქილი ბათო კი—პირდაპირ გაშლილ ხელებში ჩამივარდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი, ვილაც უტბო ბიჭები, არ ვიცი, რა მიზეზით, ჩემს პატარა მეზობელს ცემას უპირებდნენ. მართლაც, დროზე მივუსწარ, თორემ ცემას ვერ გადაჩეხებოდა. ისინი ზუთნი იყვნენ და ზუთთან ერთი რას გაბეზობდა...

იმ დღის მერე ზმირად მოდიოდა ჩემთან:—მიყვებოდა თავის ამხანაგებზე, საბავშვო ბაღზე. მე საჩუქრებს ვყიდულობდი მისთვის; ფერადყვითან ჟურნალებს, სათამაშოებს. ხანდახან ჩვენი სახლის წინ დარგულ ვარდებს და ნერგებს ვრწყავდით ერთად. ერთი სიტყვით, მართლა დავმეგობრდით.

ერთ დღეს ვზოში ჩვენს საერთო-სამეზობლო მაგიდას მივუჯექი, ბლკონოტი და ფანქარი მოვიმარჯვე და ხატვა დავიწყე. რატომღაც ჯერ ცნენი დაგნატე, მერე ძალი. დაბარებულივით საიდანღაც ბათოც გამოჩნდა, გვერდით დამისკუბდა, ნახატს ცნობისმოყვარედ მიჩერდა.

— მოგწონს?—ნახატის თავი არ ამილია, ისე ვკითხე,—საბავშვო ბაღში ხომ გასწავლიან ხატვას?

შეცბუნებულია შემომხედა, მერე თავი ჩაიფარა და ნმა არ გაილა, ანკი რა უნდა ეთქვა. მთავრად ბავშვო ბაღში რას არ ასწავლიდნენ, მუსიკა იყო: ცეკვა, სიმღერა თუ ხატვა, მაგრამ ბათო ვერცერთს ვერ უღებდა გულს.

— ნმას რატომ არ იღებ? მე ძალიან კარგად ვიცი, ხომ ხატვას გასწავლიან, მაგრამ შენ ალბათ არ მოიწადინე...


მხრები უხერხულად აიჩქრა.
— აბა, სცადე, ამ ნახატების მიხედვით რამელიმე დახატე,—ბიჭს ბლკონოტიდან ამოხეული სუფთა ფურცელი და ფანქარი წინ დავუღე.

ბათომ ხატვა დაიწყო. ცალი თვლით ხან ჩემს ნახატებს გადმოხედავდა, ხან მე ამომხედავდა: აბა, თუ მოსწონსო. მაგრამ მე ჯერ თვალს ვარიგებდი მის წინ გაშლილ ფურცელს. ბოლოს, როცა ხატვას მორჩა, დაგხედე და ჩემდა გასაკვირად, ნახატი სულაც არ იყო დასაწუნი.

— აი, ხომ ხედავ, ხატვა შეგძლებია, შენ კი ალბათ ფანქარი ერთხელაც არ აგილია ხელში. თუ გინდა, მოვიდაპარაკოთ და, დღეიდან ხატვაში გამეცადინებ. მხოლოდ, უნდა დამიჯერო. გავერგებულმა შემომხედა.

— სახატუვი ქალადღები და ფანქრები ჩემზე იყოს! თანახმა ხარ?

ბათომ თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და ისევე მოიმარჯვა ფანქარი. კარგახანს იწვალა,



ნახატები ჯაურ ლეისაძის



შუბლი ოფდმა დაუნამა და ბოლოს, ნახტი ცხენს დაემსგავსა.

— აი, ყოჩაღ! ახლა ჩემთან წავიდე, ფერად ფანქრებსა და სახატავ ქალაქს მოგვექუ, — ცოტა არ იყოს, შეეყოყმანდა, — ადექი, ადექი, ნუ გერიღებ!

ბათო უსიტყვოდ გამოიმყვა.

სახლში ჩემი ნახატები ვარჩენე. თვალეგბა-ფართოებულმა დიღხანს დაკვირვებით ათვალაღრა ნამუშევრები, ბოლოს ალტაცებით წამოიძახა:

— უპ, რა კარგი ნახატებია! ყველა შენ დახატე?

— კი, სუყველა მე დაგხატე.

განცვიფრებული ბათო ხან ერთ სურათს აკვირდებოდა, ხან — მეორეს.

მე ფერადი ფანქრები და სახატავი ქალაქები უჯრიდან ამოვიღე და ვუთხარი, რა უნდა დაეხატა შემდეგისათვის. ბიჭმა ქალაქებსა და ფანქრებს ხელი დაავლა და გახარებული გარეთ დავარდა.

მეორე დღეს ბათომ ჩემს ბინაში მოკრძაღებით შემოგდა ფეხი. დავადება შეგსრულდებინა.

ნახატები გამოვართვი და შევათვალაღრა, არა უშავდა. ისევ მივეცი რჩევა და ახალი დავადება. ისიც მეორე დღესვე მომიტანა. ასე ვაგრძედა თითქმის ორ თვეს, რასაც ვეტყვი, ყველაფერს უყოყმანოდ ასრულებდა. ბოლოს ისე გაიწაფა, ჩემი ახსნა-განმარტების გარეშეც ახერხებდა

ხატვას. იმ ხანში ეზოში გამოსულს იშვიათად ნახავდით. საღა ეცაღა საცულულტრდ, თავისზე პატარების საწვადებლად. მუღამ ჩაფიქრებული, დინჯი ნაბიჯით დადიოდა.

მთელი ეზო გაცეებული იყო, უკვირდით, ასე ერთბაშად ხასიათი რამ შეუცვალაო. გაუგებარი იმ ქვეყნად არაფერი რჩება, და ერთ დღესაც ბათომ ნახატები რომ გამოიტანა და ჩვენს სამეზობლო მაგიდაზე ყველას დასანახად დააღაგა, მაშინ კი მიხვდნენ რაშიც იყო საქმე; — აი, ყოჩაღო! — შეაქვს მეზობლებმა.

სალამო ხანი იყო, ეზოში გამოვედი და მაგრიასკენ გავწიე, რათა ჩვენს ძეღურ სკამზე ჩამოვმუღდარიყავ და ცოტა ხანს სუფთა ჰაერი მესუნთქო, მაგრამ გავიხედე და რას ვხედავ! მაგრის ვარშემო ბათოს თავის ტოლი გოგობიქები შემოესხა, წინ რვეულები გაეშალა და ხატავდნენ. ბათო გუღდასმით დასჩერებოდა რვეულებს და თვითველ გავღებულ ხაზს თვალს ადევნებდა.

ნამდვილი სიხარული ვიგრძენი, გულით მინდოდა მივსულიყავ და ბათოსთვის მეტქვა: — ყოჩაღ შენ, პატარა მხატვარო, სწორედ ასე უნდა; კარგს რასაც ისწავლი, სხვასაც უნდა გადასცემთქი, — მაგრამ იმ ბუჯითი ყმაწვილების და მათი მასწავლებლის მყუღროება რომ არ დამერღვია, ვაბჯობინე, უკან გამოვბრუნებულიყავ.

ვინ და ვაა ბაუთიანი

მელა კახიძე

ვინ მიიღო
ბუთიანი?
ვინ დაგავა
ოთახები?
ვინ გარცხა
ასე სუფთად
ბებოს შავი
მოსახვევი?
ეს ვინ არის
ასე ცქვიტო,
სკოლაში რომ
დროზე მიდის?
ვინ და, ეკა
ბაუთიანი,
ლაშაი და
შავთმიანი!



შემოდგომა

შემოდგომა დადგა,
ტყემ იცვალა ფერი,
წამოვიდნენ ფოთლები
დაბლა
ფრენა-ფრენით,
ალარ არი
ჩვენი ტყე
უკვე მშვენიერი.

ჩვენი მაგარბალი

ჩვენი მატარებელი
სწრაფია და როგორი,
მისი შავი ბორბლები
მიგორავენ გორგორით.
სოფლიად მიგვეჩქარება,
თავი ბალიშს მივანდეთ,
ჩქარა, ჩქარა,
ბორბლებო,
ველარ ვითმენთ
დილამდე!



ბამეჯიბრა

რა ძალიან იფხორები,
ცურვა იცი მარტო.
თუ ბიჭი ხარ, სირბილშიაიც
გამეჯიბრე, ბატო!



ბებოს ვუყვარვარ ძალიან,
მკონის და მიკრავს გულში.
ახლა კი ვნანობ, ნეტავი
რად გავაბრაზე გუშინ!

კაკა და ქლიავი

ქლიავის ხეს ებლოტება
 ეკა გოგო—რა ხანია,
 მაღალია ჩვენი ეკა,
 ხე კი უფრო მაღალია.
 დაუძახა ეკამ ლელას,
 მოიტანეს კიბე ხელად,
 მიაუდეს ქლიავს კიბე,
 კუნწულეები კრიფეს, კრიფეს!



ნევაპი სიით გარბიან?

გზაზე გოგოცუნები
 კისრისტეხით გარბიან,
 ჩაურბინეს ორლობეს,
 ჩაურბინეს ბარდიანს,
 ასე დილაადრიან
 ნეტავ სიით გარბიან?



კაკა

რა უოფილა ეკა,
 ურბენს ბაღს და ტაღას,
 დააღამებს ისე,
 სულ არ უნდა ვამა.
 უქმელობამ ლამის
 დაასუსტა ეკა,
 გუშინ ფეხსაცმელის
 თანმაც ველარ შეკრა.
 ახლა თქლაფავს ფაფას,
 რომ გასუქდეს სწრაფად.



ბებია

დაბერდა ჩემი ბებია,
 კოკახაც ველარ ძრავს,
 ჩავალ და უოველცისმარე
 მოვურბენინებ წყალს.



სუღედი გოგონა

რა უცნაური ვინმეა
 ეს ბაფთიანი გოგონა,
 წამოვარდებდა თუ არა,
 წამსვე თხოულობს
 შოკოლადს.

ნახატები სოფიო კინწურაშვილისა ს.ხ. საქ. სსრ
 ბავშვული სკოლა
 მთავრობის დასახელებით

ვაშლი და ურჩხული

ფრანგული ზღაპარი

იყო ერთი ღარიბი კაცი. ვაშლის ხის მეთი ქვეყანაზე არაფერი ებადა, მაგრამ რად გინდა, ნაყოფს არ ისხამდა.

დალონებული მოხუცი მიაღებოდა ლობეს და სინანულით გასცქეროდა მეზობლის დახუნძლულ ვაშლის ხეებს. სულ იმას ნატრობდა, ერთი ცალი ვაშლი მაინც გამოისხას ჩემმა ხემო.

მალე საწადელი აუხდა. ერთ გააფხულს ვაშლის ხის ტოტიდან ერთმა ყვავილმა გამოანათა. ისე გაიხარა მოხუცმა, სინარულისაგან მოსვენება დაკარგა. დღეში ათჯერ მაინც მივიდოდა ვაშლის ხესთან და ყვავილს შესცქეროდა. მალე ყვავილმა ნაყოფი გამოიტანა. ნაყოფმა დღითი-დღე დაიწყო ზრდა. მალე იმხელა გახდა, მნახველს აკვირებდა.

ერთ მშვენიერ დღეს, მოხუცმა ვაშლი მოწყვიტა, დაღო ურემზე და გასაყიდად წაიღო.

ბაზარში ვაშლს ყველა უნდობლად უყურებდა. მოხუცი იფიცებოდა; გემრიელი ვაშლიაო, მაგრამ ვინ დაუჯერებდა? სად გაგონილა ამოდენა ვაშლი, თუ კარგია, თვითონ რატომ არ შეჭამეო!

შებინდა და ვაშლი არავინ იყიდა. დალონებულმა მოხუცმა წამოიღო შინ ვაშლი და რადგან შესაქმელად ვერ გაიმეტა, შეინახა.

იმ ხანებში ქვეყანას ერთი საშინელი ურჩხული შემოეჩვია. გაუმაძღარმა ურჩხულმა მთელი მოსავალი გაანადგურა. ხალხს შიშის ზარს სცემდა. ხელმწიფემ თავისი ვეზირები მოიხმო და უბრძანა:

— ურჩხული რაიმე საკმელით მოიტყუეთ და მოკალითო.

რა არ იღონეს ვეზირებმა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ბოლოს ის ვეებერთელა ვაშლი მოაგონდნენ. მივიდნენ მოხუცთან და უთხრეს:

— ეგ ვაშლი უნდა მოგვეცე, ასეთია ხელმწიფის ბრძანებამო.

მოხუცი უარს როგორ იტყოდა. გაუხარდა კიდევ.

ვეზირებმა ურჩხულის ბუდესთან ძლივს მიადგორეს ვაშლი. ურჩხული მაშინვე მივარდა ვაშლს და სულმოუთქმელად დაუწყო ჭამა, სიჩქარისაგან ერთი დიდი ლუკმა სასულეში გადასცდა და დაიხრჩო.

მეფემ დიდად გაიხარა, რადგან სამეფო განადგურებას გადაარჩა. მოხუცს კი იმდენი სიმდიდრე უბოძა, ახლაც ბედნიერად და უზრუნველად ცხოვრობს.


ფრანგულიდან თარგმნა ივ.ო. სალრაძემ



ვაშლები

ლია სტვილია

იძინან ვაშლები
სიდან ღოვაწითლები:
— დალილასთვის ვშწიფდებით,
ჯამაზისთვის ვშწიფდებით...
სანამ დავშწიფდებოდეთ,
სულსწრაფი ნუ იქნებით:
ხან ზეზელას სდიეთ და,
ხან—იკითხეთ წიგნები.



საქართველოს
განათლების
მინისტრის
კომპლექსური
ცენტრი

ნახატები ვესო ხილაშვილისა



ჩაის ქაფუნ

დგანან ჩაის მწკრივები,
როგორც მწვანე ზვინთები...
წკიპ-წკაპ, წკიპ-წკაპ,
წკიპ-წკაპ, წკიპ-წკაპ,
იერიფება ღუფები,
ზოგი დედის თითებით,
ზოგი ჩეპი თითებით...
დედიკოს კალათაში
ჩუპ-ჩუმად ვიჭვითები...
— ვერ დედან ვერ აჯობებ! —
ქლურტულებენ ჩიტები.





ქაიხანი

ამოსანა

ჩემი ძამიკო ცამეხი,
დეიდაშვილი მარეხი
და მეზობელი ნათია—
საბაეშვო ბაღში დადიან.
მათ გარდა, იქ ცხრა ბიჭია,
ხოლო გოგონა ათია.
რამდენი ბავშვი ყოფილა,
აბა, დათვალე, თათია.

მონა ამირანაშვილი

ლეკი ღოღო გვიზიანისა

მუსიკა ეთარ ზელიძისა

ოქროს საქანადა

მზის ბორბალო, ოქროს თვალო,
იტრიალე ნელა, ნელა,
მაღალ მთებს არ მოგფაროს
შენი ოქროს საქანელა.

სასეირნოდ წამომყვეცი
პაწაწინა ია-ია,
ნუ გრცხვენია, მომე ხელი,
დავედგნოთ ველის ნიაუს.

მერცხლეგბო და ტოროლეგბო,
ინავარდეთ მაღლა—ცაში,
წრე შემკარით ყვავილეგბო,
ღამიკარით ყველამ ტაში.

მზის ბორბალო, ოქროს თვალო,
იტრიალე ნელა, ნელა,
მაღალ მთებს არ მოგფაროს
შენი ოქროს საქანელა.

სასეირნოდ წამომყვეცი
პაწაწინა ია-ია,
ნუ გრცხვენია, მომე ხელი,
დავედგნოთ ველის ნიაუს.

მერცხლეგბო და ტოროლეგბო,
ინავარდეთ მაღლა—ცაში,
წრე შემკარით ყვავილეგბო,
ღამიკარით ყველამ ტაში.

ანათითი, განათითი


ნოღარ შამანაძე

- ანათითი, განათითი,
- არ გამოდის მგაღლითი,
- არ მოეშვია, კიდეჲ სინჯუ.
- გუნაძვალოს ბუბია.
- არა, ბუბი, გავიხსურუ,
- სულ არ გამხნელებია.

მშვილობაში

გიორგი გიგაური

შემიკერა დედამ
ჩოხა პაწაწინა,
— მშვილობაში, ზაზა,—
მეუბნება ტკბილად.



შეესეთ ცარიელი უჯრედები გარეული ცხოველების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოს გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გვარი.

შეადგინა თბილისის 159-ე სკოლის მოსწავლემ რევაზ მამუკაშვილმა.

შეადგინა საგარეჯოს რაიონის, სოფ. ყანდოურის სკოლის მოსწავლემ ანათ ადუაშვილმა.

რეცუსი



“ ისწ



მ

,

“

ბ 13/177

76055

დაახმავეთ მოწარმის უკინძაღვის მოძებნაში და გააუჟიარეთ ნახაში



ნახაში-ხაჩრუბა მიხეილ სოლოვიოვისა

შთავარი რედაქტორი მუხრან მაზაზარაძე

საერთაშორისო კოლეჯია: ანწორ ბაზღაშვილი, ელზარა აფსოქაძე, კაჟური გომეაშვილი, ლილა ბრბი, მავალა მამეშვილი, ჯიშვი მუჟირი, ვიორა ტრინეშვილი (ს.მ. რედაქტორი), იორა მამებრლიძე (პ/მ, მდივანი) რეზაბერ ლარიაშვილი, ვივი კნაღაძე

საქ. აღმ. ცკ-ისა და გ. ი. ლენინის ხელფობის ბიორეგია ორგანიზაციის რეგისტრირირი საბჭოს ტურნალი. უღაუ ნახტი თიფსიზ სმსონიძისა. გამოცემის 40-ე წელი.

ტექნედაქტორი ინიდი ურბთაღი

ნახაშარი რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ტენინის, 14. ტელ.: მ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მ მდივანი—93-10-32, 93-98-17, საწ. რედაქტორის—63-98-18; განყოფ.—93-98-19; საბიფინისი—93-98-18.

გადაცემა ასაწობად 6/VIII-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდოდ 1/IX-76 წ., კილილის ზომი 60x90წ., ფი. ნახ. დურტი 2,5, ტირაჟი 157,250. შვ.ე. № 2452. „დილა“ № 10, ნა გრუიზისკომ უკაზე, ფასი 20 კაბ.

საქ. კ. ცკ-ის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии